



ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №57

2016 წელი 17 აგვისტო

ქ. ამბროლაური

„ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებისა და წინასაარჩევნო კამპანიისათვის შენობა-ნაგებობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის N32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 63-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებისა და წინასაარჩევნო კამპანიისათვის შენობა-ნაგებობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 17 ივნისის N32 განკარგულებაში:

ა) განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს „დ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სტენდები: კოსტავას ქუჩაზე - 1 ერთეული სტენდი, ზომით 1.1 მ - 0.8 მ-ზე; კოსტავას და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე - 1 ერთეული სტენდი, ზომით 1.1 მ - 0.8 მ-ზე და ბრატისლავა-რაჭის ქუჩაზე - 1 ერთეული სტენდი, ზომით 1.1 მ - 0.8 მ-ზე“

ბ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹ განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი ცალი საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არაუმეტეს 50 სმ, სიგანე არაუმეტეს 40 სმ (A2 ფორმატი)

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში, კოსტავას ქ. №13.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ასლან საგანელიძე